სამშობლო

სამშაბათი
17 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 8 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაპესიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეული ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 8 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 225 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 225

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის ნებართვით და ლოცვაკურთხევით,
პარასკევს, 27 და კვირას, 29 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში
გაიმართება პირველად ქუთაისში
დიდი ქართული სასულიერო მხატვრული საგალობელთა
საღამო-კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.
შესრულებული იქნება: ძველი საეკლესიო საგალობელნი, პეტროგრადში გამართულ სასულიერო კონცერტის საუკეთესო ნომრები და სხვადასხვა რჩეული სამუსიკო ნაწარმოები.
საკონცერტო გუნდი შესდგება 200 ქალვაჟისაგან.
ბილეთები ამთავითვე იყიდება კ. ოცხელისა და მთავრიშვილის მაღაზიაში. 3—1

ელექტრო „რადიუმი" თეატრი
ორშაბათიდან, 16 ნოემბრიდან ახალი ფართო პროგრამა.
„პატე-ჟურნალი. მიმდინარე ამბები.
სენსაცია! მონები სენსაცია!
რომანი გრაფ იულიასი. დრამა 4 ნაწილად, მსახიობ ქალის პრეობრაჟენსკის მონაწილეობით.

ხუთშაბათიდან, 19 ნოემბრიდან ხიუმარული ნილაბის ხვედ. კინო პიესა 4 ნ. ბალზაკის რომანიდან, ჩერნოფისა და მოზჟუხინის მონაწილეობით.

ქ. ქუთაისში
1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში
გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.
სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

ექიმი ი. ჩარძოძე ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განსაბლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი
მ. მგელაძე—გალიცკისა
ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

საუმაღლესო სასწავლებლის უნივერს კლასებისათვის, უმაღლეს დასწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძე-ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა „რუსეთი" („როსსია"), სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების დავით სიმონის ძე ლოლოგერიძე.

„სორაპნის" გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული
კედლის კალენდარი 1916 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ვისაც სურს „პარტიით" იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, სტამბა „სორაპანი", მ. გაჩეჩილაძეს.
5—2

გამოცდილი რეპეტიტორი ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს ყველა კლასის მოსწავლეებს შეღავათიან ფასებში.
მისამართი: „სამშობლოს" რედაქციაში 6—6—5083

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 14 ნოემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. გარდა გერმანელების უშედეგო ცდისა—წაერთმიათ ჩვენთვის მათგან წინათ დაკარგული თხრილები, მთელს ფრონტზე დღეს წყნარათ გაიარა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

მთავარ სარდლის ბანაკი. 14 ნოემბერი. 5—12 ნოემბრამდი ხელმწიფე იმპერატორმა ტახტის მემკვიდრესთან ერთად დაათვალიერა სამხრეთის ფრონტი, სადაც სხვადასხვა ქალაქსა და დაბებში დაბანაკებული ჯარი ინახულა. ოფიცრები და ჯარის უფროსები მეფემ უმოწყალესათ მიილო და კითხვებით მიმართა ბრძოლის შესახებ. ჯარში ყველგან დიდი აღფრთოვანება იყო უმაღლესი მთავარსარდლის ხილვის დროს. ყველას მამაცური გამომეტყველება ემჩნეოდა.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

„რუს. ვედ." ატყობინებენ, რომ ბულგარეთის მთავარმა შტაბმა გერმანეთის შტაბისაგან განკარგულება მიიღო არ დაიკავონ მონასტირი, რადგანაც გერმანელებს თვით აქვთ განზრახვა დაიკავონ იგი და გადასცენ საბერძნეთს.

——

„უტრო როსიი" გადმოგვცემს: სოფიის ცნობებით, ბულგარლებმა პრიშტინისკენ წაიწიეს და ტყვეთ წამოიყვანეს 1800 სერბიელიო. ბრძოლა გძელდება.

——

„რუს. ვედ. ატყობინებენ: ბერლინის პოლიტიკური წრეები დარწმუნებული არიან, რომ ოთხთა შეთანხმების მუქარა საბერძნეთთან კავშირის შეკვრით საშიში არ არის, რადგანაც საბერძნეთს ყოველთვის შეუძლია მიიღოს, რაც მისთვის საჭიროა ბულგარეთიდან; ამასთანავე საბერძნეთმა იცის, რომ მის ხელში კარგი მძევალია,—ეს მოკავშირეთა ჯარია მაკედონიაში.

——

„რუს. ინვალიდი" სწერს, რომ, როგორც სჩანს, დვინაზე გერმანელები საზამთრო კამპანიისთვის ემზადებიან, და სერიოზულ ბრძოლებს უნდა ველოდეთო. უკანასკნელ დღეებში გერმანელები იკსკიულის, ფრიდრიხშტადტისა და იაკობშტადტის რაიონებში დიდძალ ამუნიციას გზავნიან. როგორც სჩანს, გერმანელები დვინის გამაგრებაზე ხელს არ იღებენ.

საბერძნეთი და ოთხთა შეთანხმება.

მეფემ და მთავრობამ დაარწმუნა კიტჩენერი, რომ მოკავშირეთა ჯარს საბერძნეთის მხრით არავითარი საფრთხე არ მოელის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ჯარი საბერძნეთის ტერიტორიაზე გადავაო. საკითხის კერძოთ განხილვას შეუდგებიან კოშენის მონაწილეობით.

——

პარიზიდან ცნობაა,—კიტჩენერის მოლაპარაკებას მეფესთან და სკუდულისთან საიდუმლოთ ინახავენო.

——

„ტეიმს" ათინიდან ატყობინებენ, რომ კიტჩენერის მოლაპარაკების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თათბირი მოხდა, რომელიც 5 საათს გაგრძელდაო.

საბერძნეთის მთავრობის პრესა იტყობინება, რომ ხმებია, საბერძნეთი მზათაა მოკავშირეთა ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს შეთანხმების მუხლები გამომუშავებულია. გაზეთები ირწმუნებიან: მეფემ და მთავრობის წარმომადგენლებმა დაარწმუნეს კიტჩენერი, რომ საბერძნეთი არასოდეს არ წაუყენებს მოთხოვნილებას მოკავშირეებს და არც მათი ჯარის თავისუფალ მოქმედებას შეზღუდავსო.

——

„ტაიმსი" გადმოგვცემს, რომ საბერძნეთთან მოლაპარაკებამ კარგი სახე მიიღო. ასე რომ საექსპედიციო კორპუსის თავისუფალი მოქმედება ბალკანეთში უზრუნველყოფილიაო.

გერმანეთის პრესა საბერძნეთის პოზიციის შესახებ.

საყურადღებოა გერმანეთის პრესის აზრი საბერძნეთის პოზიციის შესახებ. „ბერლინერ ტაგებლატის" მთავარი რედაქტორი ვოლფი ამბობს: ცენტრალურმა სახელმწიფოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ საბერძნეთის უხერხულ მდგომარეობას და უნდა შეეცადონ არ გაართულონ ეს მდგომარეობა ახალი შემავიწროებელი მოთხოვნილებებით.

უფრო ლმობიერათ იქცევა ოფიციოზური გაზეთი „ლოკალ ანცეიგერი". ამის აზრით, საბერძნეთმა უკვე დაამტკიცა, რომ მას არ სურს ოთხთა შეთანხმებასთან დაძმობილება. უკანასკნელთა შიში გასა-

გებია, რადგანაც ბულგარეთის მაგალითმა ასწავლა მათ, რომ არ შეიძლება დამყარება მხოლოდ მჭერმეტყველურ ფრაზებზე.

ბერლინის პოლიტიკური წრეები არწმუნებიან, რომ ოთხთა შეთანხმების მუქარა—საბერძნეთის სანაპიროების ბლოკადის შესახებ—საბერძნეთისათვის საშიში არ არის. მას ყოველთვის შეუძლია საჭირო სურსათი ბულგარეთიდან მიიღოს.

იტალიის ფრონტი.

ავსტრიის ოფიციალური ცნობა იუწყება, რომ იტალიელები მედგარი იერიშების მიტანას განაგრძობენ გორიცია და დებერდოს რაიონში. უკანასკნელის მიდამოებში იტალიელები შემოიჭრნენ ჩვენს მოწინავე თხრილებში და დაიკავეს იგი. გორიცის ჩრდილოეთით იტალიელები იზონცოზე გადმოვიდნენ, მაგრამ კონტრიერიშით მოვიგერეთო.

„ფორვარტსი" ზავის შესახებ.

სოც. დემოკრატიული ორგანო „ფორვარტსი" რეიხსტაგის ახალი სესიის გახსნის გამო დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საიმპერიო პარლამენტში დაშვებული იყოს თავისუფალი მსჯელობა ზავის შესახებ.

„რეიხსტაგმა თავისუფლათ უნდა ილაპარაკოს ზავზე,—სწერს ხელმძღვანელი ორგანო სოც. დემ. პარტიისა და უნდა განუცხადოს ჩვენს მოწინააღმდეგეებს, თუ რა აზრისაა გერმანია ბელგიისა და საფრანგეთის დაკავებულ ოლქების გაწმენდის შესახებ და ელზას—ლორენის მომავალ მოწყობისა და თავისუფალ ზღვაოსნობის საკითხებზე.

საკმარისი არაა გავიმეოროთ ხოლმე ათასჯერ გადაღეჭილი ფრაზა: „ომი ბოლომდის." დღევანდელი მომენტის საჭიროება მოითხოვს გამოირკვეს მიზანი, რომელსაც ელტვის უკიდურესობამდე წყეული ომი. უკანასკნელი სიტყვა ახლა რეიხსტაგს ეკუთნის.

ქრონიკა

რუსეთი.

სათათბიროს მოწვევა.

მომავალ კვირაში მოელიან ბრძანების გამოცემას სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. ფიქრობენ, რომ საკანონმდებლო პალატები თავის მუშაობას 25 ნოემბრიდან შეუდგებიანო უფრო კი ამ თვის ბოლო რიცხვებშიო. როგორც სამინისტროს წყაროებიდან გაუგიათ, სათათბიროს სესიამ შეიძლება იანვარშიაც განაგრძოს მუშაობა. ამავე დროს სამინისტროში ზომებს ღებულობენ, რომ სათათბიროს მუშაობა რაც შეიძლება წყნარი და საქმიანი გამოდგეს.

დაბეჯითებით ხმებია, რომ სახელმწიფო სათათბიროს პირველ სხდომაზევე იუსტიციის მინისტრი ხვოსტოვი მთავრობის სახელით მოხსენებას წარადგენს შინაური პოლიტიკის მდგომარეობის შესახებო.

მომავალი სესიისათვის ემზადებიან აგრეთვე დეპუტატებიც. კადეტები, პროგრესისტები და შრომის ჯგუფი თავის ფრაქციულ სხდომებზე იხილვენ სადღეისო არსებით საკითხებს. ამ კითხვების განხილვას შეუდგენ აგრეთვე პროგრესიული ბლოკის წარმომადგენლებიც, რომელნიც ეს მეორე კვირაა იკრიბებიან სათათბიროთ თავრიდის სასახლის კულუარებში და აღნიშნენ, რომ პროგრესიულ ბლოკში შესულ ზომიერი პარტიების წარმომადგენლების შეხედულება სადღეისო საკითხების შესახებ და მათი პოლიტიკური მოთხოვნილებანი ჯერჯერობით არ შეცვლილა.

მეხუთე წლისთავი ტოლსტოის სახსოვრათ.

მოსკოვის ქალაქის თეატრში ჟურნალისტთა საზოგადოებამ ტოლსტოის გადაცვალებიდან მეხუთე წლის თავის აღსანიშნავათ ბრწყინვალე დღესასწაული გამართა. მსახიობ ქალის იურიევის შესავალ სიტყვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პროფ. მილონოვსკიმ. არტისტებმა შემდეგ წარმოადგინეს ნაწყვეტები ტოლსტოის ნაწარმოებიდან. კონსერვატორიის პროფესორ ერდენკოს მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „კრეიცეროვა სონატა" და ტოლსტოის საყვარელი შოპენის „ნოკტიურნები". დასასრულ გაიმართა აპოთეოზი.

23 ნოემბრისთვის პეტროგრადში დანიშნულია მონარქიულ ორგანიზაციების კრება.

შინაგან საქმეთა მინისტრი ხვოსტოვი კარმანკულით ავათ გამხდარა.

საზრდო და გერმანია.

ყველას გვახსოვს, თუ როგორ ერთ ხმათ გაჰკიოდენ ომის პირველი წლის განმავლობაში: გერმანიას საზრდო მალე შემოაკლდება და შიმშილი იძულებულ ჰყოფს იარაღი დაყაროსო; მაგრამ მეორე წლის დასაწყისშივე ყველა სახეთ დავრჩით, როცა დავრწმუნდით, რომ გერმანიამ შიმშილი თავიდან აიშორა, მტერს ფეხდაფეხ სდევნის და ბრძოლის ველზე, კვლავ მედგრათ მიიწევს წინ!

გერმანიის მთავრობამ თანამედროვე მეცნიერება, როგორც ბუნების მეტყველებისა, ისე საზოგადოებრივი ფართოდ გამოიყენა.

შიმშილის თავიდან ასაშორებლათ მან უპირველესათ სტატისტიკას მიმართადა და წვრილმენით გამოარკვია, თუ რა და რა და რამდენი საზრდო სჭირდება გერმანიის ხალხს.

როგორც ვიცით, მან უპირველესად პურის ნაკლებობის გავლენას მიაქცია ყურადღება და ისიც ვიცით, თუ როგორ მიაღწია მიზანს. „პურის მონოპოლიამ" და მცხოვრებთა შორის სავალდებულო დადგენილების გატარებამ დიდი ნაყოფი გამოიღო: დღეს გერმანიის პურით დამშევაზე არაფერი ისმის; არც ხალხის მხრით ისმის საყვედური, თუმცა იგი ნორმის 85% პურს ხმარობს დღეს. (მაშასადამე აკლია 15%) ხალხს, ილბათ, ამ შემთხვევაში ის გარემოება აკმაყოფილებს, რომ გერმანიის მოქალაქენი ყველა განურჩევლათ ქონებრივი და სოციალური მდგომარეობისა ყველა ერთნაირ პურს ხმარობს: ყველა ცხოვრობს ნაკლები პურით, როგორც თვისებით, ისე რაოდენობით, მაგრამ იმავე დროს ყველა დარწმუნებულია, რომ გერმანიაში არაა ისეთი მოქალაქე, რომელიც უკეთესი და მეტი პურით საზრდოობს.

ყველამ იცის, რომ ეს არანორმალურია და დროებითი და იმავე დროს კარგათ იციან ისიც, რომ ამ არანორმალურობას და გაჭირებას ყველა ერთნაირათ განიცდის. აი ამის შეგნება აკმაყოფილებს ხალხს და როცა იგი უკეთეს პირობებში ჩავარდება და მისი ცხოვრება ნორმალური კეთილდღეობის სახეს მიიღებს, მაშინაც ვფიქრობთ, ამ ერთნაირობის, საერთო საზოგადო კეთილდღეობის მოთხოვნილებას არ დაივიწყებს: მაშინ იგი საერთო საყოველთაო გაჭირვების ალაგას თანასწორ ნივთიერ კმაყოფილებას მოითხოვს.

თუ დღეს გაჭირებას საერთოდ იტანენ, ხვალ ისინი უთუოთ საერთო „დალხინებას" მოითხოვენ.

ეს მოთხოვნა რომ გერმანიის ხალხში დღეს მტკიცდება და მაგრდება იქიდან აშკარათ სჩანს, რომ ამ შემოდგომაზე კარტოფილისთვის ბრძოლის საქმეში მან იგივე მოითხოვა, რაც პურის შესახებ უკვე არის განხორციელებული.

გერმანიის ხალხმა ოქტომბერში გადაჭრით მოითხოვა, რომ მემამულეებს კარტოფილი იძულებით ჩამოერთვას და „ყველას თანასწორათ გაუნაწილდეს". ამ მოთხოვნამ, როგორც წინა წერილში ვსწერდით, მთავრობა ძალზე ჩააფიქრა და საჭირო ზომები მიიღებია.

მან ამ მიზნისთვის უპირველესად ცნობების შეკრებას მიჰყო ხელი. ოქტომბერშივე დამთავრდა ცნობების შეკრება: დაწვრილებით გამოირკვა, თუ რა და რამდენი სიხლო-სანოვაგე მოეძებნება კიდევ გერმანიას. სტატისტიკამ მეტათ უნუგეშო სურათი დაუხატა მთავრობას: გამოაშკარავდა, რომ გერმანიას საკმაოთ საზრდო სანოვაგე არ ეშოვება; საზარელი აჩრდილი, რომელსაც გერმანიის მტრები და მოყვრებიც წინა წელში უქადდენ, ახლა მართლა წინ დაუდგა მას და „ყოფნა არ ყოფნის" საკითხი დაუყენა.

წინათ თუ პური აკლდა გერმანიას, სამაგიეროთ საკმაო ჰქონდა: ხორცი, რძე, ერბო, კარტოფილი და სხვა.

ახლა კი სტატისტიკამ გამოარკვია, რომ არც ერთი ზემოხსენებული სანოვაგე გერმანიას საკმაოთ არ მოეპოვება: ბულგარეთის და ოსმალეთის საქონელი, რომელიც ახლა თავისუფლათ შედის გერმანიაში, ნაკლებობას ვერ ავსებს.

გერმანიას ახლა ფქვილი ნორმის 85% ეშოვება, ხოლო ხორცი, რძე და ერბო ნორმის 50—60%. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სანოვაგე გერმანიაში მხოლოთ იმის ნახევარი იშოვება, რაც მისი მოთხოვნილების ნორმალურათ დაკმაყოფილებისათვის არის საჭირო.

მართალია კარტოფილი საკმაო იშოვებოდა, მაგრამ მემამულე—მეურნეებს არ სურდათ მთავრობისგან დაწესებულ ფასებში გაეყიდათ ის და ამჯობინებდენ, რომ კარტოფილით ღორები დაესუქებინათ და ღორის ქონის გასაღებით მეტი მოგება ენახათ. ასე ფიქრობდენ რძისა და ერბოს შესახებაც.

და აი სოფლის მეურნეთა (აგრარიების) ასეთმა კლასობრივმა ეგოისტობამ ისედაც ნაკლები სანოვაგე გერმანიაში კიდევ უფრო შეამცირა. რა უნდა ექნა მთავრობას? მეტი ჯანი არ იყო აგრარიებისთვის ომი უნდა გამოეცხადებია და სანოვაგის ნაკლებობის თავიდან ასაშორებლათ რადიკალური ზომები უნდა მიეღო.

ის მართლაც ასე მოიქცა.

იგი დარწმუნდა, რომ ხალხს [illegible] ააშორებს შიმშილს, თუ [illegible] კლასების ჩვეულებრივ [illegible] დაკმაყოფილებას საზღვარს დაუდებს და იმ ზომამდე ჩამოიყვანს, რა ზომითაც სანოვაგეს მაგალითად ჩვეულებრივ ხელმოკლე ხალხი ხმარობს. ასეთი ზომა რომ არ იხმაროს მთავრობამ, მაშინ, ცხადია, „შეძლებულები" დროზე შეეცდებიან რომ თავიანთი სამზარეულოები და სასადილოები უხვი სანოვაგით აავსონ, ხალხი კი მშიერი დარჩება, რადგან ის ბაზარზე საჭირო სანოვაგეს ვეღარ იშოვის. ამ ნაირათ საზოგადოების მცირე ნაწილი მდიდრები ზომაზე მეტათ მაძღარი დარჩებიან, მაშინ როდესაც უმრავლესობა—ხალხი უჭმელ-უსმელი იქნება.

და აი გერმანიის მთავრობაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სანოვაგის ნაკლებობა არც ისე დიდია და საშიში, რომ გერმანიამ ამ ომის მეორე წელსაც ვერ გაუძლოს. გერმანიის ხალხი მთავრობის აზრით ახლანდელ სანოვაგის ნაკლებობასაც ადვილათ იტანს და არც ისე გაუჭირდება, თუ ყველა მოქალაქეს ამ მხრით ერთ პირობებში ჩააყენებენ და „შეძლებულთაც" იძულებულს გახდიან, რომ მუშის ოჯახის ჩვეულებრივი „ჯერით" დაკმაყოფილდეს.

ასეთი აზრი გამოსთქვა თვითონ კანცლერმა პრუსიის ლანდტაგში 27 ოქტომბერს და განაცხადა, რომ მთავრობა ენერგიული მოქმედებით სანოვაგის „ანტისოციალურ განაწილებას" წინ აღუდგება.

ვის უნდა ებრძოლოს ამ შემთხვევაში მთავრობამ.

რა თქმა უნდა საზოგადოთ გაბატონებულ კლასებს, განსაკუთრებით კი აგრარიებს. და აი გერმანიაში ამ ნიადაგზე ჩაღდება ხელჩართული შინაური ომი; ერთი მხრით მთავრობისა და ლიბერალურ-ხალხურ პარტიების და მეორე მხრით აგრარიების კონსერვატიულ-რეტროგრადულ ორგანიზაციებს შორის.

როცა რძისა და ერბოს ფასის დაკლება მხმარებლებმა დაჟინებით მოითხოვეს და მთავრობამაც ამ მოთხოვნას ყური ათხოვა, მაშინ „კონსერვატიულ პარტიის ცნობათა" ორგანომ გამოაქვეყნა, რომ, თუ მთავრობა სოფლის მეურნეების სურვილს მხედველობაში არ მიიღებს და ისე არ იმოქმედებს, იმ შემთხვევაში რძის მწარმოებელთა მხრივ ამის ბუნებრივი პასუხი გაფიცვა იქნებოდა, რომ ამ გზით

შავი-ქვა და ბარიტი.*)

დიდი ხანი არ არის, რაც ჭიათურის მიდამოებში აღმოაჩინეს ერთგვარი მადანი, რომელსაც შავი-ქვა ეწოდება. პირველად ადგილობრივი მკვიდრნი ამუშავებდენ ამ მადანს; ჩამოჰქონდათ ჭიათურაში, ან ზესტაფონს და იქ აძლევდენ უცხო კაპიტალისტს. მართალია, სამადნო მუშაობა იმ ხანად ისე არ იყო გაფართოებული, როგორც დღეს არის, მაგრამ ადგილის მეპატრონენი მაშინ გაცილებით უკეთესს პირობებში იყვნენ. ვინ ჰყავდათ ბატონი? თვითონ გამოჰქონდათ, არჩევდენ, ზიდავდენ და ყიდდენ. დღეს-კი გარემოებანი იცვალნენ. მადნის გახსნილმა უცხოელებმა არ იკმარეს შუამავლის როლი, ისინი ვერ დააკმაყოფილა მარტო ქვის მიღებამ, წამოდგენ და მთელი ადგილების ხელში ჩაგდება მოინდომეს. კაპიტალისტების სურვილს ხელი შეუწყო თავად აზნაურობის ფუქსავატობამ და ოქროსფასით ადგილები, თითქმის, მუქთად ჩაიყარეს ხელში სხვა და სხვა ქვეყნის მილიონერებმა. იმ დროს თავად-აზნაურობა, რომელსაც ეკუთვნოდა ადგილების უმრავლესობა, მაგალითის მიმცემის როლშიც გამოვიდა. მადნიანს ადგილებში ნაწილის მქონე გლეხებმა წაბაძეს ბრწყინვალე წოდებას და იმათაც ელვის სისწრაფით გამოეცალათ ადგილები ხელიდან. დღეს, როგორც ერთნი, ისე მეორენიც დღიურად მუშაობენ რომელიმე უცხოელთან, რომლის კეთილ სურვილზე დამოკიდებულია სამუშევრის გაცემა, რადგანაც მთელი ქონება უცხო კაპიტალმა მიისაკუთრა, ბევრ ეკონომისტს ჰგონია, რომ ეს მაინც ასე მოხდებოდა, რაც უნდა დიდი ნიჭი მრეწველობისა გამოეჩინა ქართველ მემამულეს, რადგანაც ჩვენი კაპიტალი სუსტია უცხოელ კაპიტალზე, ან პირდაპირ უმნიშვნელოა მასთან შედარებით, მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია, ჩვენ არ გვქონდა მილიონები, არც დღესა გვაქვს და უცხოელები. რა თქმა უნდა, ამ მხრივ გვაჯობებდენ, მაგრამ ჩვენ მოძრავი სიმდიდრის მაგიერ ხელთ გვეჭირა უძრავი კაპიტალი შავ-ქვიანი ადგილები. პირველად, როცა დამუშავება ჩვენს ხელთ იყო, შეგვეძლო თავისუფლად, უცხო კაპიტალის დახმარებით გვეწარმოებია მუშაობა, შემდეგ-კი, როცა ცოტათი მოვღონიერდებოდით თვით ჩვენ შევიჭრებოდით უცხო ბაზარზე და უშუამავლოდ ვაწარმოებდით ჩვენს საქმეს. კარგად ვიცით რომ ერთი დაკვრით არაფერი გაკეთდება, საჭირო იყო თანდათანობა და ოდესმე ვეღირსებოდით საკუთარი მრეწველობის მოპოებას. კი სიღარიბისაგან გამოწვეული გაჭირვება და ახალი ცხოვრების მოთხოვნილებანი დიდ ფულს თხოულობდა, მაგრამ დღეს უარესს მდგომარეობაში ჩავვარდით და ეს მოვლენა გაკვეთილად მაინც უნდა გამოვიყენოთ. ვერ შევძელით იმ ხანად საქმის მოწესრიგება, არ გვყავდა ამ საქმისთვის მომზადებული ინტელიგენტური ძალა და წავიკარით ფეხი; ვერ ვიქონიეთ შორსმჭვრეტელობა, დავკარგეთ დიდებული ადგილები, სხვები გავამდიდრეთ, ჩვენ დავღარიბდით; ვერ გამოვიჩინეთ შეკავშირების უნარი, ჩვენში სხვები მბრძანებლობენ, ჩვენ მაჩანჩალად ვართ მიჩენილი; ვერ მოვაწესრიგეთ საქმე, არ გვქონდა ორგანიზატორული ნიჭი განვითარებული და ჩვენი თავი თვითონ დავღუპეთ, მარა საქმე მარტო ეს არ არის. საქმე ის არის, რომ შავი ქვის სხვის ხელში გადასვლამ დიდად დააზარალა ჩვენი რაიონი განსაკუთრებით და საერთოდ მთელი საქართველო, რადგანაც ერის თვითგამორკვევის საქმესაც თავისი დაღი დაასვა. გაღარიბებას ვინ ჩივის, რომ „გადაგვარების ნიშნებთან" არ გვქონდეს საქმე.

მოგეხსენებათ, მრეწველებს აქვთ საბჭო. იგი საბჭო სცდილობს ხალხის სწავლა—განათლებაშიაც თავისი წვლილი შეიტანოს. ერთი მხრით, უადვილებს მწარმოებლებს გზების და მექანიკურად მოწყობილი საზიდავების (спуски) მოწყობით ქვის გადაზიდვას, მეორე მხრით—აგებს მახლობელს სოფლებში სასწავლებლებს. ერთი შეხედვით ეს საქმე დიდად სასარგებლოა, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ეხლანდელ სკოლებში გამეფებულ პოლიტიკას, რასაც ვერც საბჭოს სკოლები ასცდენ, იმ სარგებლობის მეოთხედსაც ვერ დავინახავთ, რაც მოსალოდნელი იყო კერძო დაწესებულებათა სასწავლებლებიდან. ვიცით, რომ ყმაწვილის ყოველმხრივი განვითარება, ჭეშმარიტს გზაზე დაყენება და მისს არსებაში კაცობრიული იდეალების შთანერგვა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით და ეს უკანასკნელი—კი საბჭოს სკოლებში ისეა დაყენებული, როგორც მთავრობის სხვა სასწავლებლებში. ცხადია, მასწავლებლები აქ დამნაშავე არ არიან; მათ ხელთ აქვსთ მთავრობისგან დამტკიცებული გეგმა და იმას ვერ გადაუხვევენ; ისიც კარგია, თუ ამ გეგმას შესაფერად გამოიყენებენ, რაშიაც ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება. რასაკვირველია, მასწავლებლები მთელი ძალ ღონით სცდილობენ სალი პედაგოგიის მიხედვით აწვრთნონ ყმაწვილებს, მაგრამ ცოტა რომ გადააჭარბონ, ეს სრულებით არ ნიშნავს საბჭოს მოქმედების გამართლებას. თუ იქ სწავლა წესიერად სწარმოებს, ეს მასწავლებელთა საქმეა; საბჭო აქ რა შუაშია? საბჭო მაშინ იქნებოდა მართალი, რომ მეტი უფლებით აღეჭურვა თავისი სკოლები. თუ საერთოდ ჩვენ სკოლებში გადამგვარებელი პოლიტიკა არსებობს, იგი საბჭოს სკოლებშიაც არის, რადგანაც ეს უკანასკნელი—არც მეტი, არც-ნაკლები მთავრობის სასწავლებელთა ტიპისანი არიან. არ უარვყოფთ, რომ სკოლების გახსნით ზემო იმერეთს დიდი დახმარება გაუწია საბჭომ, მაგრამ ეს დახმარება უფრო მეტ მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ქართული სკოლები გაეხსნა, რაც არ მოხერხდა იმ მიზეზის გამოისობით (მე ასე მგონია), რომ მსხვილი მრეწველნი უცხოელნი არიან და მათ ჩვენი ეროვნული იდეალებისთვის არა სცალიათ. შეიძლება—იფიქროს კაცმა: საბჭოში ჩვენები არიან და ადვილად მოახერხებენ საქმის მოწესრიგებასო. ადვილად კი არა,—ბევრიც რომ ეცადონ, მაინც ვერას გახდებიან, რადგანაც კ. ა—სა და გ. ზ—ჩს გარდა იქ სხვებიც სხდან და ეს სხვები ასე იოლად არ დასთანხმდებიან სკოლების გადაკეთებაზე. სასწავლებელთა ეროვნულ ნიადაგზე დაყენება ნიშნავს მათს ძირითად რეფორმას და ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როცა სკოლის მესვეურნი მას თანაუგრძნობენ. აქ კი ათიოდე მრეწველს გარდა ყველა უცხოელია და ისინი რას დაგიდევენ ეროვნულ სკოლას? მათ აინტერესებს საერთო სასწავლებელი (ვფიქრობ, არც ეს აინტერესებს, მაგრამ მიუცილებლობას ვერ მიუდიან) ყველა ეროვნებათა ბავშვებისათვის და, რადგანაც რუსეთში საერთო რუსული ჰქვია, კიდევაც აქვსთ იგი სხვადასხვა ადგილებში. რა უყოთ, რომ მოწაფეთა უმრავლესობა ქართველებია, მათთან ერთად სწავლობენ სომეხი, თათარი, ბერძენი და სხვა ბავშვებიც, რომლებისათვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს რუსულ სკოლას.—თქვენ გინდათ ქართული სასწავლებელი? ეს ეროვნულ დაწესებულებათა საქმეა და იქ მიიქცეით, გეტყვიან ჩასუქებული ბერძნები, ან გამდიდრებული სომხები. რას იზამთ? უნდა მოიჭიროთ კბილი ენაზე და ჩაგუმდეთ, რადგან თვით ჩვენ გავყიდეთ ჩვენი თავი; ეხლა ბევრი უჩივა ბედს, მაგრამ გვიან არის. თუ ჩვენმა მომხრე წევრებმა რაიმე გააკეთეს ხომ კარგი, თუ არა და უნდა იარონ იმავე გზით, რა გზითაც დღემდე უვლიათ. არსებითად დიდს საფრთხეს არ უმზადებს ქართველ ერს ჭიათურის სკოლები, რადგანაც ერთი-რომ ქართველი ერის გადაგვარება შეუძლებელია და, მეორე, თუ დღევანდელი მასწავლებლები, ან მათნაირი აირჩიეს, ვოსტორგოვ-კრუპსკიები მათ ფრონტს ვერ აბრუნებინებენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს სკოლები იმდენს ეროვნულს თვითგამორკვევის სურვილს ვერ შეიტანენ ქართველი მოზარდი თაობის არსებაში, რამდენსაც წმინდა ეროვნული სკოლები, მაგრამ რა გაეწყობა, დამნაშავე თვითონ ჩვენა ვართ.

როგორც დავინახეთ, შავი-ქვის საქმის მოუწესრიგებლობამ გააღარიბა ხალხი და ამასთანავე ვერც მისი შვილების სწავლა-განვითარებას შეუწყო ხელი. მიზეზი ამისა სად უნდა ვეძებოთ? ჩვენს დაუდევრობაში, როგორც ამას წინად საბჭოს ერთმა ინჟინერმა მითხრა მატარებელში. აწ რა დაგვრჩენია, ვისხდეთ მომაკვდავივით და ველოდოთ აღსასრულს? რასაკვირველია, არა... აი, სწორედ აწ გვმართებს თავდაჭერილობა და უნდა ვეცადოთ-შევინარჩუნოთ ის ადგილები, რაც უცხო მტაცებლებს გადაარჩენიათ.

ჭიათურის ზევით, სახვრის მახლობლად, არის ვეებერთელა მთა-გორიანი ადგილები, რომელსაც „ჭალის-მთა" ჰქვია. ეს ადგილები ჯერ-ჯერობით აქაურ მკვიდრთა ხელშია. მართალია, ზოგიერთებმა გაჰყიდეს, მაგრამ ისევ ადგილობრივმა გლეხობამ შეიძინა (რაც ფრიად სასიამოვნოა) და უცხოელის ჰპანებასაც ვერ

---

*) რადგანაც ამ წერილში აღძრული საკითხი მეტათ რთულია და ბევრ განმარტება-ახსნას მოითხოვს, ჩვენ როდისმე კვლავ დავუბრუნდებით ამ საკითხს. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათზე ნახმარი ძალმომრეობა თვიდან აიშორონ. მერძევეთა კავშირის ერთ გაზეთში, რომელიც ლანდტაგის დეპუტატის რინერის გამომცემლობით გამოდის, პირდაპირ მოწოდება იყო მოთავსებული, რომ მერძევეებმა ლორები გამოკვებონ რძით და ქალაქში კი არ წაიღონ გასაყიდათ, რადგან ამ გზით ისინი მეტ მოგებას ნახვენო.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მთავრობამ თავისი გაიტანა და 22 ოქტომბერს კანონმდებლობითი გზით რძეზე სავალდებულო მცირე ფასი დააწესა. ასევე მოიქცა იგი ხორცისა და კარტოფილის შესახებ.

აქ მთავრობას ნაციონალ—ლიბერალთა პარტიაც წამოეშველა ერთი „დარბაისელი" გაზეთი ზემოხსენებულ კანონის სასარგებლოთ დიდ აგიტაციას ეწეოდა და აგრარიების წინააღმდეგ შემდეგ ნაირ ლექსებს ათავსებდა.

„ანგართ მოყვარეება და გამდიდრების წყურვილი მოსვენებას არ აძლევს მათ, სწერდა ზემოხსენებული გაზეთი და ლექსად განაგრძობდა: „ისინი უსირცხვილოთ ხარხარებენ, როცა ხალხს ცრემლები სცვივა. ისინი ბატონობენ, ვიდრე შიმშილი ხალხის რისხვათ არ გადაქცეულა. მაშ მოიტათ რკინა, გახურებული რკინა ჯალათისა, რომ სანოვაგის პატრონებს შუბლზე დაღი დავაკრათ, „დაღი კაენისა"... ასე ემუქრება გაზეთი იმ აგრარიებს, რომელთაც თავისი მოქმედებით დაამტკიცეს ანგარება და მძულვარება თავიანთ ძმებისადმი."

რა თქმა უნდა აგრარიები ბევრ რასმე იტყოდენ ხალხთან „გამშობილების" წინააღმდეგ; მაგრამ ისინი ამ შემთხვევაში მხოლოთ ორი განცხადებათ დაკმაყოფილდენ. 27 ოქტომბერს „გერმანიის სასოფლო სამეურნეო პალატამ განაცხადა, რომ სოფლის მეურნეთა—წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება ზომას გადაცილებულია და აუტანელიაო ამასთან ისინი მთავრობას აფრთხილებენ, რომ მის მიერ მიღებული ზომები გერმანიის პარტიათა და კლასთა შორის დადებულ „შინაურ მორიგებას" ემუქრებაო. მათი სიტყვით მთავრობის მოქმედება გლეხკაცობაშიაც დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ერთ სიტყვით, აცხადებენ აგრარიები, მთავრობას ახლანდელი მოქმედებით დიდი, ღრმა უკმაყოფილება მზადდება და შემდეგში ძნელი იქნება მისი შეკავებაო"

ერთი გაზეთი მთავრობას იმასაც ურჩევდა, რომ აგრარიების წინააღმდეგი აგიტაცია „ცენზურის" საშუალებით შეეზლუდა. ყველა ამეების საპასუხოთ მთავრობამ 28 ოქტომბერს ახალი კანონი გამოსცა, რომლითაც აგრარიების ბატონობას და თავგასულობას ერთიანათ მოლო მოუღო, ამასთან ანტისოციალურ განაწილების" შეზღუდვამ ისე შორს წავიდა, რომ ს. დ. მთავარ ორგანოს „ფორვერტსის" კმაყოფილებაც კი გამოიწვია.

ამნაირათ გერმანიის მთავრობამ დევიზათ გახადა... „სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, რაც შეიძლება დაჩქარებით" და აი ეს დევიზი უკაფავს მას გზას ყოველ გასაჭირში!

დგლი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

კვირას, 15 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში დრამატიულმა დასმა წარმოადგინა „ლევან სამეგრელოს მთავარი" საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

◆ გუშინ ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეუდგა სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებისათვის ფულის დარიგებას.

◆ გუშინ ქუთაისს ჩამოვიდა სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი სლავინსკი, რომელიც დაათვალიერებს ქუთაისის სასწავლებლებს.

◆ 18 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში მარიამ შავერზაშვილის ასული გამართავს კონცერტს.

◆ შაბათს, 14 ნოემბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართა კონცერტი პეტერბურგიდან ჩამოსულ მემუსიკეთა მიუხედავათ იმისა, რომ ფასები ძლიერ გადიდებული იყო, საზოგადოება მაინც ბლომათ დაესწრო.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა 1916 წლის ხარჯ-აღრიცხვას უკვე შეუდგა.

◆ 21 ნოემბერს, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მშობელთა წრე გამართავს სალიტერატურო სამუსიკო საღამოს.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა საგუბერნიო უძრავ ქონებათა გადასახადების განმანაწილებელი კომისია. კომისიაში არიან ნ. ლორთქიფანიძე, ფილიპე მგალობლიშვილი და ალ. კრინიცკი. კანდიდატებათ მიტროფანე გრ. ლაღიძე, სამსონ კალანდარიშვილი და ივანე ჭილაძე.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ს. ბუკნარში (ოზ. მაზრა) გაიხსნას უფასო წიგნსაცავ სამკითხველო.

◆ ს. აბაშის (სენ. მაზ.) მცხოვრებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ცხოვრება".

◆ 14 ნოემბერს ვორონცოვის ქუჩაზე უცნობებმა გაქურდეს მეთოდე გორდეზიანი. წაიღეს ოჯახის ნივთები 500 მ. ღირებული.

დაკარგული ჯარის კაცი.

◆ ჯარის კაცი შალვა მურუსიძე მსახურებდა 101 ბატალიონში მე 4 როტაში. აგერ ხუთი თვეა, რაც მისმა მშობლებმა მის შესახებ არა იციან რა. მშობლები სთხოვენ ყველას, ვისაც კი რაიმე ცნობა მოეპოვება ამის შესახებ აცნობონ ქ. ქუთაისში ორპირის ქუჩაზე დიმიტრი ვარაძეს.

რედაქტორები სასახლეში

ხუთშაბათს საღამოს მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორმა ბ-ნ ისტომინმა მოიხმო თვისთან, მეფის ნაცვლის კანცელარიაში, ტფილისში არსებულ გაზეთების რედაქტორები სათითაოდ. თათბირის წინ ბ-მა ისტომინმა რედაქტორებს სიტყვით მიმართა და აუხსნა, რომ ეს თათბირი მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ინიციატივით არის გამართული. მიუთითა რა საერთოდ პრესის ფრიად დიდ მნიშვნელობაზე, ბ-ნმა ისტომინმა განუცხადა რედაქტორებს ,რომ მეფის ნაცვალი ელის თბილისის პრესისაგან დახმარებას და იმედოვნებს, რომ პრესის წარმომადგენელთა მოღვაწეობა თვალნათლივი და გულ ღია იქნება. მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორმა თვის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჭირო მშვიდობიანი განწყობილება კავკასიის ყველა ეროვნებათა შორის. ამიერიდან ყველა შულლი, სთქვა მან, უნდა მოისპოს ვინაიდან კავკასიის უმაღლესი მთავრობა ერთნაირად კეთილგანწყობილია ყველა ეროვნებათა მიმართ. ბ-ნ ისტომინს პასუხი გასცა ზოგიერთ რედაქტორმა და აუხსნეს ზოგიერთი ხელთ შემშლელი, ამ სამოღვაწეო გარემოებანი. მაგრამ რადგანაც ადგილობრივ პრესის წარმომადგენელთ არა აქვთ მტკიცე კავშირი და თვით თათბირიც მოულოდნელი იყო, ამიტომ შესაფერი მასალის მიწოდება პრესის მდგომარეობას დასახასიათებლად ვერ მოხერხდა ამ თათბირზე.

(ს.)

ნახავთ აქ. დღემდის ეს ასე იმიტომ ხდებოდა, რომ მამულის ფასი ძალიან დაწეული იყო, ხშირად შეხვდებით ქცევის ხუთ მანეთად გაყიდვის მაგალითს და ამიტომაც აქაური გლეხობა არ უშვებდა მარჯვე შემთხვევას და საოცარი სისწრაფით იკიდებდა ფეხს „ჭალის-მთაში." ახლა კი ასე აღარ არის. გამოჩნდა ერთგვარი მადანი „ბარიტა", როგორც ხმები დადის, იქვე უნდა იყოს ნავთის, რკინის და სხვა მადნეულობის მდიდარი ჩანასახები. ეს გარემოება უყურადღებოდ არ დარჩებათ უცხოელებს (ამის ნიშნები უკვე არის, ადგილ-ადგილ წარმოების დაწყებასაც აპირებენ. მგონი, დაიწყეს კიდეც), რომლებმაც ჩვენს ხალხს კარგა ხანია ალღო აუღეს; ისინი არ დააყოვნებენ ორი-სამი თავისი კაცის შოვნას და შეეცდებიან, დროთა ვითარების გამო, დაღარიბებული მონაწილეების გადაბირების; მიაჩეჩებენ ორიოდე გროშს და ჩვენს სიმდიდრეს ხელთ ჩაიგდებენ სწორედ იმ წესით როგორც ვაჭრებს სჩვევიათ. ადგილობრივი მკვიდრნი, რასაკვირველია, შეეცდებიან მეტი ფასის აღებას, გაიმართება ვაჭრობა, მივლენ იმ დასკვნამდის, რომ, ვინაიდან თვითონ წარმოება არ შეუძლიათ, მისცენ ვინმე ფულიან გვამს დასამუშავებლად (საექსპლოატაციოთ) და ფუთობით გაურიგდებიან რამდენიმე ათეული წლებით. გავა დრო, მონაწილენი ფერს იცვლიან, გაეხსნებათ მადა გამდიდრებისა და სრულიად დაჰკარგავენ მამულს, რაც ძალიან სამწუხარო მოვლენაა უნდა ჩაითვალოს ყველა პატიოსანი ქართველისათვის. მტკიცება ექსპორტიორი გინდ ქართველი იყვეს და გინდ უცხოელი ჩვენთვის სულ ერთიაო—სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც გაღარიბების გარდა ჩვენ საქმე გვაქვს მეორე არა ნაკლებ საყურადღებო მოვლენასთან: ეს გახლავსთ **უცხოელთა მიერ მრეწველობის ხელში ჩაგდებით ქართველი ერის თვითშემეცნების შეხერხების გამოწვევა.** ნურვინ ნუ იფიქრებს: ქართველმა კაპიტალისტმა ისე აბუჩად აიგდოს საქართველო რომ მუშებს თავმდგომად უცხოელი დაუყენოს, ან საერთო ტიპის სასწავლებელი გახსნას ახლო მახლო ადგილებში. იგი (ქართველი კაპიტალისტი), როგორც დევნილი ერის შვილი, ეცდება დააკმაყოფილოს ყველა მომუშავეთა ნაციონალური თავმოყვარეობა. კი—შეიძლება, კლასობრივი ჩაგვრა ერთნაირი იქნეს, როგორც ქართველ, ისე უცხო მრეწველობაში, მაგრამ მეტი რომ არა იყოს რა, კაცი გასაგები ენით, უთარჯიმნოთ მაინც მოელაპარაკება თავისს მუშლეფელს და ამის გარდა საზოგადოებაც აიძულებს მათ, მეტი ყურადღება და მუყაითობა გამოიჩინონ საქართველოს საერთო საქმეებისადმი, მანამ ამას შავი-ქვის საბჭო სადის. ისიც შეიძლება, რომ არ გამოჩნდენ იმისთანა ქართველი მდიდრები, რომლებსაც კონკურენციის გაწევა შეეძლოთ უცხოელებისათვის, მაგრამ, მე მგონია, ჩვენში იმდენი თვითარსებობის სურვილი მაინც უნდა იყოს, რომ თავისუფლად შევვძლოს **დაარსება ქართული სააქციონერო საზოგადოებისა.** ამ საზოგადოების დაარსება მით უფრო მიუცილებელია, რომ საქმით დაინტერესდება მთელი ჩვენი ერის შეგნებული ნაწილი და წარმოებას ჩვენი ერისვე სასარგებლოდ გამოიყენებს. მიუცილებელია ამ საზოგადოების დაარსება იმიტომაც, რომ ყველას—შინაურსა და გარეულს პირზე აკერია—„ქართველები ჩამორჩენილი ხალხია, ცხოვრებას არ მისდევენ, მრეწველობა არ ეხერხებათ და, როგორც ასეთი, მალე ისტორიას ჩაბარდებიანო". ქართველი ხალხის ამ რიგი ეპითეტებით შემკობას ხშირად გაიგონებთ; გაიგონებთ არა ქართველისგან და ქართველისგანაც, გაიგონებთ განათლებულს წრეშიაც და უბრალო ხალხშიაც, გაიგონებთ დემოკრატიაშიც და არისტოკრატიაშიაც, მაგრამ ასეთი აზრის მქონენი საქართველოს შესახებ, ადვილად შეიძლება, ვერც კი იცნობდენ ქართველებს. აბა, რომელი დაკვირვებული კაცი იტყვის და მოჰყვება მტკიცებას ჩვენი გადაგვარება-გადაშენების შესახებ ეხლა, როცა ეროვნული თვით-გამორკვევა მდევნის ნაბიჯით წინ მიექანება? აიღეთ სახალხო სკოლები, სადაც იზრდება ერის ბურჯი—გლეხობა, იქ თქვენ დაინახავთ ეროვნული ნაპერწკლის დღითი დღე გაღვივება-გადიდებას; აიღეთ ჩვენი სოფელი, იქ თქვენ იოტის ოდენა გადაგვარების ნიშანსაც ვერ დაინახავთ. რა ვუყოთ, რომ უცხო სიტყვები შემოგვეპარენ; ამიტომ უნდა დავყაროთ ფარ-ხმალი და ცრემლმორეული ვევედროთ გააფთრებულ მტერს? სრულიადაც არა, ჩვენი ვალია— ვეცადოთ მეტი სიფხიზლე შევიტანოთ ფართო მასაში და ეროვნულ სიმებზე ხმა შეწყობილად დავსძახოთ ქართული მრავალ-ჟამიერი. ჩვენი ვალია არ გავუშვათ არც ერთი შემთხვევა, რითაც ფართო საზოგადოების ეროვნული იდეალებით დაინტერესება შეიძლებოდეს. ამ უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნის „ჭალის—მთის" საქმე, რასაც, იმედია, ჩემზე უკეთ საქმის მცოდნენი მიაქცევენ ყურადღებას და ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენებენ მისს სიმდიდრეს, დაიმედებული, რომ ჩვენში მრავლად მოიპოებიან სამთამადნო საქმეების მცოდნენი, რომლებიც ყოველივე ღონეს იხმარებენ შესაფერი საზოგადოების შედგენისთვის. მივულოცავ საქართველოს „ჭალის-მთაში" გამოჩენილს ახალს სიმდიდრეს, რასაც, მჯერა, იგი თავისს სასარგებლოდ გამოიყენებს.

ნიკ. ჯამუშაძე.

ქართველ ებრაელებს.

ეს სამი, თუ ოთხი თვეა, რაც პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში" იბეჭდება ის გულის სიღრმიდან ამონაკვნესი და დამაფიქრებელი სიტყვები დაძინებულთა გამომაფხიზლებელი და მოწოდებანი ონის ებრ. რაბინის ბ. დ. ბააზოვისა, რომელიც მოუწოდებს საქართველოს ებრაელებს და მათ მეთაურებს.

— გამოიღვიძეთ, დაძინებულო, გამოერკვიეთ ხანგრძლივ სალთას ძილისაგან და მიხვდით, რომ თქვენც ეკუთვნით იმ ერს, რომელიც დღეს ომის საშინელ ტალღებში სცურავს. განიხილეთ მათი გაჭირვება, გაიგეთ მათი ტირილ-ქვითინი, ოხვრა და კვნესა, აწიოკება მილიონობრივ თქვენი ძმებისა, რომელიც მათ მიაყენა საშინელმა მსოფლიო ომმა; სხვათა შორის, ბ. ბააზოვმა თამამათ გაილაშქრა იმათ წინააღმდეგაც, რომელნიც დიდი ხანია გვდევნიან, იგონებენ ჩვენზე ცრუ ჭორებს, გვტანჯავენ უსამართლობით. გამოაქვეყნა და დაუმტკიცა მათ კიდეც მრავალი საბუთით ცრუ შექმნილი ცილის წამებანი, ჭორები, რომელიც აღმოცენებული იყო კაცთმოძულეობის ნიადაგზე.

ამის გარდა, ბ. ბააზოვი ეხება შინაგან თავიანთ საქმეებს, მოუწოდებს ებრაელების წარმომადგენლებს, ე. ი. რაბინებს ქართველ ებრაელების შინაური საქმეების გასაუმჯობესებლათ. მოუწოდებს— გაიმართოს თათბირი ჩვენი ერის სულიერ ნაკლულევანებაზე, დავაარსოთ უმაღლესი შკოლები, სახელოსნო სასწავლებლები. და სხ. რომლითაც ხელი შეეწყობა ებრაელ ერის გონებრივ განვითარებასა და მისი ცხოვრების კულტურულათ აყვავებას.

ჩვენთვის—ებრაელთათვის, ცხადია ვინც არ დაიხუჭავს თვალებს, რომ ბ. ბააზოვი, საკმაოთ არის მომზადებული და იბრძვის თავისი ერის კეთილ დღეობისთვის. სჩანს, მისი გულის სიღრმის ამონახეთქი სიტყვებისგან, რომელიც ებრძვის ყოველგვარ შეუგნებლობას და გულციობას, და ჟრუანტელს უყენებს ყოველი კაცის გულს და დასძახის, აა, რას გძინავს, გამოიღვიძე და მიმოიხედე ირგვლივ, რა გვჭირია შენ, რა სჭირია შენს ერს. დაეხმარე შენ დაღუპულ ძმებს, აწიოკებულ ერს, უდროოთ დაობლებულ შვილებს შენი ერისას. უძახის იგი თითოეულ კაცს, მოუწოდებს მთელ საქართველოს ებრაელებს—და მათ ბელადებს. (რაბინებს.) აგონებს მათ თავის მოვალეობას თავისი ერისადმი, უანგარო შრომას თავისი ერისას და გასკვნას იმ მაგარი საძირკვლისას, რომელზეც იქნება ჩვენი მომავალი თაობის ბედნიერება და ცხოვრების გზა. ბ. ბააზოვს მოყავს ბევრი მაგალითებით ჩვენი ერის აწინდელთ ბელადების როგორ სწირავდენ სიცოცხლეს თავიანთ ერისთვის როგორ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას უფლისადმი, დავალებულს მათზე თავიანთი ერის საქმის გაუმჯობესებისათვის.

დიახ, სამ—თვეზე მეტია, რაც ბატონი ბააზოვი დაუღალავათ და შეუდრეკელათ ებრძვის საქართველოს ებრაელების შეუგნებლობას, ებრძვის მათი ბელადების გულგრილობას. ხმამაღლა მოუწოდებს გაზეთის ფურცლებზე, სწერს თავისი მდუღარე სისხლით მოკაზმულ სიტყვებს: შეერთდით საქართველოს ებრაელებო. შეერთდით. გახდით ერთ კონათ, შორს სიბნელე, შორს შეუგნებლობა, შორს კაცთმოძულეობა, შორს პირადი ინტერესები, შორს კერძო საქმისთვის სახალხო საქმის გათელვა, თვალწინ გვიყენებს წარსულს, თვალწინ გვიხატავს მომავალს, რა მოგველის. თვალწინ გვიყენებს ჩვენი შორეულ ძმების მაგალითს, როგორ შრომობენ თავიანთი ერისთვის, როგორ სწირავენ თავით სიცოცხლეს, თავიანთ ძალღონეს, და ცხოვრებას. თავისი ერის გადარჩენისათვის და სხ. და სხვა.

ახლა ვიკითხოთ—ბააზოვის ამდენმა შრომამ და მხურვალე გულშემატკივრობამ იქონია თუ არა რაიმე გავლენა საქართველოს ებრაელებზე და მათ რაბინებზე? უნდა ვთქვათ, რომ არასფერი. მაშ რას უნდა მიეწეროს ეს ამბავი? და ან ვისი ბრალია? უნდა ითქვას, რომ ეს სულ რაბინებისა და ხალხის წარმომადგენლების ბრალია, რომელთაც [illegible] ყავთ ხალხი, რომელნიც ატარებენ იმ გზაზე, რომელიც მხოლოდ მათ მოუხდებათ, და მათ პირად ინტერესებს, დააკმაყოფილებს. თუ ეს ასე არაა, სად არიან ეს ვაჟბატონები, რომ არ ამოუდგებიან გვერდში ბ. ბააზოვს და მასთან ერთად არ აშრომებენ თავისი ერის კეთილდღეობისათვის. რატომ არ გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, რომ რაიმე წამალი აღმოუჩინონ ამ დაღუპულ ერს, მაგრამ ეს ვაჟბატონები, არა—თუ მხარს უჭერენ ბ. ბააზოვს, გაბრაზებულები ჩადგებიან ქუჩებში და აგიტაციას ეწევიან ხალხში—როგორ გაბედა ბააზოვმა ჩვენი ვინაობის გამოქვეყნება და როგორ გვკადრაო. დახე როგორ გვლანძღავს და სხვას. ამ აგიტაციას შეუგნებელი და მათგანვე დაბნელებული ხალხი ვერ ხვდება და ასე კარგავენ ზღვის უფსკრულში ბ. ბააზოვის კაცთ მოყვარეობით შექმნილ აზრებს.

მაგრამ არა, ბატონებო, თუ უფროსებს გაეყინათ ასე საღი მოსაზრება და არ ზრუნვენ ჩვენთვის, ჩვენ ახალგაზრდებს ხომ გვიჩქეფს ახალგაზრდური სისხლი, რითაც შეგვიძლია დავინახოთ რა არის კარგი და რა არის ავი, ჩვენ ხომ შეგვიძლია ვიცნოთ ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ ერთგული.

მაშ, ძმებო, ჩვენ თვითონ შევიგნოთ, ჩვენ თვითონ გამოვიფხიზლოთ. ჩვენ თვითონ შევუდგეთ ჩვენი მომავალი საქმის გაუმჯობესებას, როგორც იქცევიან ჩვენი ძმები-ახალგაზრდები—სხვა ქვეყნებში თანახმათ ბააზოვის მოყვანილი მაგალითებისა. ჩვენ თვით მივმართოთ ჩვენ უფროსებს დაანებონ თავი პირად ინტერესებს, კერძო საქმეებს, იშრომონ ჩვენი მომავლისთვის, იფიქრონ ხალხის ბედნიერებაზე, შეუერთდენ ერთგულ ბააზოვს. დაუჭირონ მას მხარი და მოგვცენ ჩვენ, მომავალთაობას, საშუალება სწავლა-განათლებისა. უნდა ახსოვდესთ ამ ვაჟბატონებს, რომ დიდ დანაშაულს სჩადიან მომავალი ახალგაზრდობის წინაშე, როცა ასე გულგრილათ ექცევიან თავის ერის საერთო საზოგადო საქმეებს და ადრე თუ გვიან ხალხი მათ პასუხს მოსთხოვს.

ფ. შიმშილაშვილი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ფრონტი.

ლონდონი. 13 ნოემბერი. ფელდმარშალ ფრენჩის მოხსენება. გასული 4 დღის განმავლობაში ჩვენი არტილერია წარმატებით უშენდა ყუმბარებს მტრის თხრილებს. ყუმბარები ანადგურებდა მავთულიან ღობეებს და აღწევდა სიმაგრეებამდი. მტერი სუსტად გვიპასუხებდა. ნაღმებით ბრძოლა ორივე მხრიდან განუწყვეტლივ სწარმოებდა.

პარიზი. 13 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. დღის განმავლობაში მთელი ფრონტის სიგრძეზე ხანგამოშვებით საარტილერიო სროლა ხდებოდა. საარტილერიო ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო არგონებში, სადაც კერძოთ ჩვენმა ბატარეამ ააფეთქა გერმანელების ტყვია-წამლის საწყობი. კურტშოსის სეკტორში ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით ხდებოდა. ჩვენ იძულებული ვყავით მტერი დაეტოვებია გორა, რომელიც ნაღმის აფეთქებისაგან გაკეთდა და დავიკავეთ იგი.

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი. ბელგიის ცნობა. დიკსმიუდეს ჩრდილოეთით და ენოჟადეს ახლოსვლებით საკმაოთ ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. ჩვენმა ბატარეამ მტერს ენერგიულათ უპასუხა.

პარიზი. 14 ნოემბერი. დღის ოფიც. ცნობა. ღამის განმავლობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. გუშინ, დღის განმავლობაში, მასის დასავლეთით, ფორესის და ბოტენკურის შუა, მტერმა უშედეგოთ იხმარა სულის შემხუთავ გაზიანი

ყუმბარები და შემდეგ იერიში მოიტანა, მაგრამ იერიში მოვიგერიეთ. ამავე დღეს მტრის ჰაეროპლანი ჩამოვარდა მდ. ენში ბერიომბაკის აღმოსავლეთით. მფრინავი ცურვით გადარჩა. ჩვენმა ბატარეამ ჰაეროპლანი გაანადგურა.

ლონდონი. 13 ნოემბერი. ოფიციალური ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის ჯარმა ხელში ჩაიგდო ბრძოლის ველი იმ დროს, როდესაც ოსმალები იხევენ ბიალახისკენ, რომელიც 10 მილის მანძილზე მდებარეობს კტეზიფონიდან და რამდენიმე მანძილზე ბაგდადიდან. პირველათ წამოყვანილ ტყვეთა რაოდენობა 800 კაცამდი იყო, ახლა კი 1300 აღწევს. ტყვეები ლაისკენ გაგზავნეს. ჩვენი დაჭრილთა რიცხვი 1800 კაცამდია. მოკლულთა რიცხვი გამორკვეული არაა. ჯარის მთავარსარდალი იტყობინება, რომ ჯარის სულიერი განწყობილება ჩინებულია, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი ზარალი ხვდა წილათ და წყლისა და საჭმლის ნაკლებობას განიცდისო.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 13 ნოემბერი. ოფიც. ცნობა. 11 ნოემბერს საღამოთი კრიცეის ჰლავში მტერმა იერიშები მოიტანა ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ იესის მთაზე ბაცეკის სათავის ჩრდილო-დასავლეთით. იერიშს წინასწარ წაუმძღვარეს ძლიერი საარტილერიო ცეცხლი, მაგრამ მოგერებულ იქნენ. გორიცის ჩრდილო დასავლეთით მდებარე მაღლობებზე ბრძოლა გრძელდებოდა. რამდენიმეჯერ გამეორებულმა იერიშებმა ხელი შეუშალეს ჩვენს ჯარის კაცებს გამაგრებულიყვნენ დაკავებულ პოზიციებზე და გაეფართოვებინათ იგი. კარსოსთან ბრძოლა გუშინ გრძელდებოდა. ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო სენ მიქელის მთის ჩრდილო ფერდობებთან მდ. იზონცოს მიმართულებით. მტრის მიერ აღებული ფერდობი სასწრაფო იერიშით კვლავ უკან დავიბრუნეთ და ბოლოს სრულებით ჩვენს ხელში დარჩა და კიდევაც დავმკვიდრდით ზედ. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 40 ჯარის კაცი.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 14 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში ლომბადზიდესა და ბეზენტის რაიონში საკმაოთ ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. სენმიშელის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა მტრის ბატარეა ჩააჩუმა სამარის მაღლობზე. ბელისუმანჟიესთან ჩვენ შორის შსროლელი ზარბაზნებით ყუმბარები დავუშინეთ მტრის რაზმს და გავფანტეთ. დამტკიცდა, რომ გერმანელების ცდამ—გუშინ სულის შემხუთავ გაზების საშუალებით იერიში მოეტანათ ჩვენზე ფორჟისა და ბეტენკურის სექტორებში მათთვის უშედეგოთ ჩაიარა. გერმანელებმა სამჯერ გამოუშვეს გაზის ნაკადულები, მაგრამ ყოველთვის ჩვენი თხრილებიდან არტილერიამ ცეცხლი დაუშინა. არტილერიის განუწყვეტელმა ცეცხლმა ნება არ მისცა გერმანელებს თავის ხაზებიდან გამოსულიყვნენ.

ბალკანეთის ფრონტი.

12 ნოემბერი. ჩვენმა ჰაეროპლანებმა 50 ყუმბარა ესროლეს ბულგარელების ბანაკს სტრუმიცასთან და ცეცხლი დაუშინეს იშტიბს. ჩვენი ჯარი, რომელიც ცრნის მარცხენა ნაპირზე იყო, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა დაუბრკოლებლათ.

ეს გადასვლა გამოწვეულია სერბიის ჯარის მიერ ამ ჟამათ დაკავებულ პოზიციების მიხედვით.

დარდანელის ოპერაცია.

11—12 ნოემბერი უნდა აღინიშნოს ჩვენი არტილერიის მარჯვე მოქმედებით, დაუშინა ცეცხლი ოსმალების სხვადასხვა ყალიბის ზარბაზნებს, რასაც შედეგათ მოყვა მტრის არტილერიის ცეცხლის შესუსტება. ხმებია,—კონსტანტინეპოლში ბევრი დაჭრილი მიიყვანესო. 11 ნოემბერს, რამდენიმე ბრძოლა იყო ხელით სასროლი ყუმბარებით. 12 ნოემბერს ჩვენი ქერის ფუღუქებით დაინგრა გვირაბი, რომელიც მტრისგან იყო მომართული ჩვენი ფრონტის ცენტრის ნაწილისკენ.

ჰავრი. 14 ნოემბერი. ბელგიის ცნობა. გასულ ღამეს ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის ბანაკს კვიემის, ცისხონის, კლორკენის და ვოთმენის მიდამოებში და აგრეთვე ტრანსპორტს, რომელიც დიკსმიუდედან გამოდიოდა. დღეს გერმანელების არტილერიამ სუსტათ დაუშინა ცეცხლი ჩვენს მოწინავე პოზიციებს. ჩვენ სამაგიეროთ დავუშინეთ მტრის თხრილებს ფერმასთან და გავფანტეთ მომუშავეთა ჯგუფი დიკსმიუდის სამხრეთით.

ცეტინიე. 14 ნოემბერი. ოფიც. ცნობა. 12 ნოემბრიდან მთაშავეთის ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მტერი მხოლოდ დაზვერვით დაკმაყოფილდა. მტერი უთუოდ დიდი ბრძოლისთვის ემზადება, რომლისთვისაც იგი ეს რამდენიმე დღეა ემზადება.

დაბა სოფლები.

ს. როკითი. ეს სოფელი ქუთაისზე დაშორებულია ოცი ვერსით და ეკუთნის ბაღდადის საზოგადოებას. აქაური მკვიდრნი უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი უსკოლობის გამო: აქ არ არსებობს საკუთარი შენობა სკოლისათვის და არც რიგიანი სახლი იშოვება სკოლისათვის. წელს სკოლა მოთავსებულია მისთანა შენობაში, რომელიც სრულიად მოუხერხებელია სწავლისათვის. არც კარები გააჩნია და არც ფანჯრები; სახურავზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. წვიმის დროს თავს ვერსად შეაფარებს მოსწავლე, რომ წყალი არ ჩამოდიოდეს. არც იატაკი უვარგა, ასე რომ ქარი თავისუფლათ დანავარდობს შენობაში და არ იცის კაცმა რომელ ერთს გაუძლოს: ფანჯრებიდან და იატაკიდან მოქრიალე ქარს, თუ ზევიდან მოჩუხჩუხე წვიმას!... თავისთავათ იგულისხმება, თუ სწავლის მიმდინარეობა როგორი იქნება ასეთ შენობაში; რა უნდა ქნან მასწავლებლებმა და მოწაფეებმა?! მერე მისთანა მოწაფეებმა, რომლებიც ნახევრათ შიშვლები არიან.

სკოლა ღარიბია აგრეთვე სასწავლო ნივთებით, და ესეც ძლიერ აფერხებს რიგიან მეცადინეობას. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა სკოლა სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული, და არც არავინ ფიქრობს მის გაუმჯობესებაზე. ამის უმთავრესი მიზეზია გლეხებისა და აზნაურიშვილების შეუთანხმებლობა და მოუნდომლობა. არის ზოგიერთი მისთანა აზნაურიშვილი, რომელსაც არ უნდა გლეხებთან ერთად სკოლის აგება, რის გამოც მათი შვილების უმეტესი ნაწილი უცოდინარი რჩებიან. მთელი სოფლიდან მხოლოდ ორმოცდაათამდე მოწაფე დაიარება. ეს რიცხვი ორი მასწავლებლისთვის ძალიან ცოტაა.

საჭიროა, გლეხები და აზნაურები შეერთდენ და შეერთებულის ძალით ააგონ სკოლის შენობა და საზოგადოთ იზრუნონ მის წარმატებაზე.

ამის გარდა აქაური მკვიდრნი მოკლებული არიან გაზეთების კითხვას, მიუხედავათ იმისა, რომ ძლიერ დაინტერესებული არიან ომის ამბებით. სამკითხველო აქ არ არსებობს, რომ ისარგებლონ მათი მცხოვრებლებმა. ათასგვარ ჭორების გავრცელებას საზღვარი არა აქვს.

გლეხების უცოდინარობით სარგებლობენ ადგილობრივი მედუქნეები და ერთი ათად ტყავს აძრობენ უვარგის საქონელში.

საჭიროა, ადგილობრივმა მოწინავე პირებმა იზრუნონ სამკითხველოს დაარსებისათვის. **შ. მ—ძე.**

ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს „წაკითხული (შემდეგი იხ. „სამშ." № 224)

ამ ღირსების გარდა ქართველი ხალხი ამ ეროვნულ გმირ ქალში სათაყვანო სხვა თვისებასაც ჰხედავდა. ასე მაგალითად, მთიულები მას წმინდანად სთვლიან, როგორც მკურნალს ათასგვარ სნეულებათაგან. ამიტომ მისთვის შემოუღიათ სხვა და სხვა გვარი პატივისა და თაყვანისცემის წეს-რიგი. მეორე მხრით თამარ დედოფალს სთვლიან როგორც მოწყალებისა და სათნოების განხორციელებას. მრავალ ლეგენდათა შორის ჩახლართულია ერთი ფრიად საინტერესო, რომლის გახსენებაც ყოველთვის სიამეს მომგვრის ადამიანს.

ერთხელ თამარი,—ამბობს ლეგენდა,—ბრწყინვალე დღესასწაულში, გელათის ტაძარში წირვაზე დასასწრებლად ირთვებოდა. ამ დროს მას აუწყებენ, ვინმე გლახა მოვიდა და მოწყალებას ითხოვსო. დედოფალს არ სცალდა. თავზე ჯიღას იდგამდა და ძვირფას სამკაულით იქარგავდა გულმკერდს. როდესაც მოკაზმულობა გაათავდა და კარზე მოწყალების გასაცემად გავიდა, მთხოვარა აღარ დახვდა. ამ ამბით სათნო დედოფალი იმდენად შეწუხდება, რომ ტაძარში მისვლისას სწრაფად მოიხსნის გვირგვინს, ძვირფას თვლების სამკაულს და ღვთისმშობლის ხატს შესწირავს, როგორც მიზეზს თავისი შეცდომისას, რომ გლახა დაუსაჩუქრებელი გაუშვა.

ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ხალხი თამარს აღმერთებს არა მარტო მის ძლევამოსილებისთვის, არამედ უფრო მისი ქველობისთვის, სათნოებისა გამო, იმიტომ, რომ იგი უაღრესად მზრუნველი იყო თავის ხალხის, გამკითხი და ყოვლად მოწყალე.

საოცარია, რომ დედოფლის დროის მგოსნები ხოტბას შეასხამენ მას არა მარტო როგორც უძლეველ დედოფალს, მბრძანებელს, არამედ როგორც მოხიბვლელ არსებას, რომელიც უსაზღვროდ სავსეა ქრისტიანული სათნოებით. შოთა რუსთაველი, რომელმაც ამ სათაყვანებელ დედოფლის შესხმაზე დაწერა უკვდავი პოემა და რამდენიმე ხოტბა, რასაც პროფ. მარის აზრით, სხვა მწერლებს აწერენ ჩვეულებრივ ჩახრუხაძეს,—თითქმის განსაკუთრებით მის თვალისმომჭრელ სილამაზის ქებაშია. აი, სხვათაშორის, რა მარგალიტებს აბნევს პოემის შესავალში:

„თამარს ვაქებდეთ, მეფესა,
სისხლისა ცრემლ-დათხეული.
თქვენი ქებანი ვისნიმე,
არ ავად ამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა—
და კალმად მინა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვის
ლახვარი გულსა ხეული"...
„მიბრძანეს მათდა საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა.
თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბადახშისა, თლილისა,
მით მიჯრით მიწყობილისა,
გასტეხს ქვასაცა მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისა..."

თითქმის ასეთივე სახით აღწერენ თამარის სილამაზეს მეხოტბენი. თითოეული ხოტბა ერთგვარი ჩანჩქერია. მეტაფორათა ალმასობა, ხოტბის სტროფათა მრავალფეროვანი ზომა, ალის მგზნებარე ფერადები, ბიბლია, სპარსული ეპოსი, ბერძენთა ბუმბერაზი სიბრძნე დედოფლის სახოტბო დითირამბის სურნელოვანებით იკმევა.

თამარის მეხოტბენი გასაოცარი ჰიპერბოლებით ხელმძღვანელობენ. ყოველი არსი, მეხოტბეთა აზრით, თამარს მზეთა სთვლიან, შვიდი თანამევარსკვლავენი ქებას ვერ ჰკადრებენ, რაკიღა პლატონისენი და დავითის ქნარი არა აქვთო. საგულისხმიეროა, რომ „ვეფხის ტყაოსანშიაც" და ხოტბებშიაც, სადაც მგოსანს ჰსურს ქება შეასხას თამარის ძლიერებას და დიდებას, განგებ მის ქმრის დავით სოსლანისკენ მოჰმართავენ ხოლმე ქნარს. მაგალითად, შოთა რუსთაველი ასე ახასიათებს დავითს:

„ვის შვენის ლომსა ხმარება
შუბისა, ფარ-შიმშერისა
მეფისა, მზის თამარისა,
ღაწვ-ბადახშ-თმა-გიშერისა,—
მას, არა ვიცი, შევკადრო
შესხმა ხოტბისა ხშირისა,—
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა
მირთმა ჰხამს, მართ მშიერისა!"

ასეთსავე საწინააღმდეგო დახასიათებას ვხედავთ ხოტბათა ტაეპებში, როდესაც თამარის თვისებათ დავითისას დაუპირდაპირებენ ხოლმე. ციური სუნთქვა, ნარნარება, ქალობრივი სიტურფე და ცისკროვნება უმალ იცვლება ახოვანებით, რომლის მახვილიც არა ნაკლებ მარჯვეა.

თამარის საიდუმლო სურათი დაგვიტოვა მეორე მეხოტბემაც, შავთელმა. ეს ხოტბა რამდენიმე ნაწილად იყოფა. თითოეული ნაწილი შეიცავს თამარის სათნოებათა სხვადასხვა დარგს. სახელოვნად დედოფლის სახელს რაღაი ხოტბა ეპირვება, როდესაც იგი უამისოდაც ჰქუხს ჩინეთიდან მოყოლებული ეგვიპტე, კრიტოსამდე. აუწერელი სილამაზე, სიბრძნე, სათნოება, განათლების მოტრფიალე, აი ყველა ის ძირითადი ღირსება, რომლითაც მომადლებულია თამარი და რაისთვისაც იბრძვის, რისთვისაც აიჯებს თავის ხალხს და სიხლის ალევრივენებს.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის სრულიადაც სავალდებულო არ არის სიტყვით სიტყვამდე მივიღოთ მეხოტბეთა მაღალ-ფარდოვანი დახასიათებანი. მარტო მდგომარეობა მათი უკარნახებდა მათ ასე მოქცეულიყვნენ და ცამდე აემაღლებინათ თავიანთი მბრძანებელი. მაგრამ თუ გავიხსენებთ ხალხში გავრცელებულ ლეგენდებს, მის გარშემო შეთხზულ ლექსებს და ამბებს, თუ არ დავივიწყებთ, რომ დღესაც ასე თაყვანს სცემს მას ქართველი ერი, მაშინ დავრწმუნდებით კიდეც, რომ თამარი ტყუილა უბრალოდ არ ყოფილა ქართველი ერის საამაყო ეროვნული გმირი. აი, ამ დიად ღირსებათა გამო ათაყვანებდნენ მას, როგორც მისი მეხოტბენი, ისე ქართველთა ყოველი ტომი და არა მარტო იმიტომ, რომ მის სკიპტრის ქვეშ საქართველომ მიაღწია უმწვერვალეს სიძლიერეს და საქართველოს საზღვრებიც მანამდე უნახავ, სიშორეზე გაფართოვდა. აი ამიტომაცაა, რომ ქართველმა ხალხმა მის განსპეტაკებულ თვისებათა გამო გახადა იგი თავისის მერმისის და საუკეთესო იდეალების განხორციელებად. ქართველი ხალხი ეთაყვანება მას, როგორც საიდეალო ქალს, როგორც ბერძნები ეთაყვანებოდნენ ჰერკულესს, თეზეოს და სხვა ნახევარ ღმერთებს, როგორც „საიდეალო ვაჟკაცებს".

(შემდეგი იქნება)

ვ. გურკო.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
აქ დაიწერება [illegible] ადრესი.
Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:

Banque populaire suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Génève.

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50 წ.
„	— ღამის	—11 ს. 30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს. 5 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს. 38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისკენ	— დილის	— 7 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს. —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს. 20 წ.

ქუთაისის განყოფილება ამხ.-ბა „პროვოდნიკი".

გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი
კალოშები.
საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა სრულის ამორჩევით.
საეტლო შინები
საერთაშორისო მარკები „სლონ" და „სვერხ-სლონ" და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კობახიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან